

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N18

ქ.თბილისი

23.12. 2022 წელი

14:00 საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

აბაშიძე ლევან

ჟორჟოლიანი ლევან

ალადაშვილი აკაკი

რუხაძე ნინო

არველაძე ლევან

სოხაძე რევაზ

ბოჭაძე ვლადიმერ

სურგულაძე ვახტანგ

ბუაძე საბა

შარაშიძე გიორგი

გრიგოლია ოთარ

ჩაკვეტაძე გიორგი

გუგეშაშვილი მამუკა

ჩიკვილაძე ზურაბ

დავითაშვილი ლევან

ჩხარტიშვილი გივი

ვარდოსანიძე ნინო

ცინცაძე ავთანდილ

ზარნაძე კონსტანტინე

წულაძე ნინო

ზაქარიაშვილი მარიამ

ხელაძე ირაკლი

კაკაბაძე ანა

ხუჯაძე ალექსანდრე

კახეთელიძე ნიკოლოზ

ჯაფარიძე ლევან

კვიციანიშვილი ნინო

კობალაძე სალომე

კობერიძე ცოტნე

კუპრავა ზვიად

ლაბუჩიძე კახაბერი

მოდებაძე ნათია

ოგბაძე სალვა

ონიანი გიორგი

ოქროპირიძე გურამი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო სამსახურის უფროსი – გაიოზ თალაკვაძე

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი-ირაკლი გვილავა.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი – სერგო ბირკაძე.

სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი-თამარ მელიქიშვილი

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – ოთარ ჩიტაძე

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

პარტია „ხალხისთვის“ წევრი, ნინო წულაძე გამოვიდა წინადადებით, საახალწლოდ პიროტექნიკის აკრძალვასთან დაკავშირებით. პიროტექნიკის უკონტროლო გამოყენება საფრთხეს უქმნის მოქალაქეების ჯანმრთელობას, ასევე განსაკუთრებულად აზიანებს შინაური ცხოველების (ძაღლების, კატების) ფსიქიკას და ზოგადად, სიცოცხლეს. მისი თქმით, უნდა აიკრძალოს ისეთი პიროტექნიკის ნაკეთობის გამოყენება, რომელიც იწვევს აკუსტიკურ ხმაურს 30 დეციბალზე მაღალი სიხშირით. საჭიროა გამოიყოს ადგილები, სადაც აიკრძალება პიროტექნიკის გამოყენება: საჯარო და რეკრეაციული სივრცეების მიმდებარე ტერიტორიები, ასევე გზები, ქუჩები, მრავალბინიანი კორპუსების აივნები.

წინადადებით მიმართა საკრებულოს, გონივრულ ვადაში, ახალ წლამდე პერიოდში, იმსჯელოს, გაიზიაროს და გაახორციელოს პარტია „ხალხისთვის“ მიერ წარმოდგენილი ინიციატივა პიროტექნიკის აკრძალვასთან დაკავშირებით.

ნინო წულაძემ ისაუბრა ჭავჭავაძის N5ა-ში მიმდინარე სამშენებლო პროცესზე. შენდება 22-სართულიანი კორპუსი კომპანია „ლიბერთი სითის“ მიერ. მოქალაქეები, რომლებიც, ამავდროულად, ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებიც არიან, მათი თანხმობის გარეშე გაიცა სამშენებლო ნებართვა არქიტექტურის სამსახურის მიერ და ამ ნებართვის პარალელურად, საგზაო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამ ტერიტორიაზე არის შეუძლებელი. მოქალაქეების თხოვნაა, გაუქმდეს სამშენებლო ნებართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება ურბანული კატასტროფა.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ პრობლემას იცნობს, დროებით შეჩერდება სამშენებლო პროცესი, დამატებით კიდევ მოხდება საკითხის შესწავლა და თუ რაიმე კანონდარღვევა აღმოჩნდება, აუცილებლად შეჩერდება მშენებლობა და გაუქმდება ნებართვა.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ჭავჭავაძის N5ა-სთან დაკავშირებით, პრობლემა ნამდვილად არსებობს. იცნობს საკითხს. ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები არ არიან მესაკუთრეები, ისინი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არიან, როგორც იპოთეკარები, ამის მიუხედავად, ამ საკითხს კიდევ ჩაუღრმავდებიან და მოხდება ამ ნებართვის შეჩერება, საჩივრის საფუძველზე. იქნება კომუნიკაცია, როგორც კომპანიასთან, ასევე მოსახლეობასთან.

საკრებულოს სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა გაშალეს ბანერი წარწერით „თავისუფლება მიშას“.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი ონიანმა განაცხადა: „მიხეილ სააკაშვილი უნდა გადარჩეს, უნდა მიეცეს სიცოცხლის უფლება და ამაში ყველა ერთიანები უნდა ვიყოთ. ეს საკითხი გასცდა “ნაციონალური მოძრაობის” პრობლემას, რადგან ყველა კარგად ვხედავთ დასავლეთის პოზიციონირებას. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის დასავლური ინტეგრაცია და ევროპული მომავალი მარტო ჩემს შვილს არ სჭირდება, თქვენს შვილებსაც სჭირდება და ნებისმიერს, ვინც საქართველოში, სამომავლოდ, თავის თავს ხედავს“. მან თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, გააცნობიეროს, რომ ეს არის ქვეყნის პრობლემა, „იმ ქვეყნის, რომლის მთავარსარდალი თვითონ არის და უახლოეს პერიოდში მიიღოს, არა გიორგი ონიანისთვის, არა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ამ ქვეყნისთვის სწორი გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ მოემსახურება თითოეული ჩვენგანის შვილების, ჩვენი მეგობრების, ჩვენი მეზობლების და ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლის გარანტირებულობას“.

ზვიად კუპრავამ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „გუშინდელი დღე საქართველოს ისტორიაში ძალიან სამარცხვინო დღე იყო, რადგან მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში უყურა საქართველოს მომავლად პრეზიდენტს, რომელსაც სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლებას არ აძლევენ.“ დაადანაშაულა „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და ირაკლი კობახიძე, რომელიც „აპელირებდა და ამბობდა, რომ თურმე 70 კილოგრამიანი ადამიანი სიმულირებს და წვერზე, მის გაპარსულობაზე და გაუპარსაობაზე ამახვილებდა ყურადღებას,“ მოიხსენია, როგორც „წვერგაპარსული ნაძირალა.“

ამ განცხადების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ კუპრავას მიკროფონი გაუთიშა „კარგად ბრძანდებოდეთ, თქვენი რიტორიკით და თქვენი ამგვარი სიტყვებით, შეგიძლიათ მიბრძანდეთ და განცხადება გააკეთოთ დარბაზის გარეთ.“

აღნიშნულ საკითხს დარბაზში სიტყვიერი დაპირისპირება მოყვა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ოთარ გრიგოლიამ აბსურდული და ალოგიკური უწოდა ოპოზიციის განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება პატიმრობაში მყოფ საქართველოს მესამე პრეზიდენტს აწამებს: „ვის უნდა იყოს იმის მოსურნე, რომ

ციხეში ვინმე აწამოს?! ამას გვეუბნება იმ ძალის წარმომადგენელი, რომელიც ციხეებში პატიმრებს აწამებდა, ეს ხომ ალოგიკურია. მიხეილ სააკაშვილი არის დამნაშავე და მან კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს.“

ნინო კვიციანი „ქართული ოცნების“ წევრები ბერბიჭაშვილებად მოიხსენია და განაცხადა, რომ ისინი არიან ყალბები, თესვენ სიძულვილს, ბოროტებას, პოლარიზაციას, „შთამომავლობასაც უნდა აკიდოთ ამ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაში მონაწილეობის ტვირთი. დიახ, თქვენი შვილები, მათი შვილები... მკვლელების შთამომავლები იქნებიან, ძვირფასო კოლეგებო.“

ვლადიმერ ბოჭაძემ, სიტყვებით, „მე თქვენს ნაცვლად სასაუბრო ლექსიკონიდან სიტყვებს-ციხე, წამება, არაადამიანური მოპყრობა, ტერორი და ა.შ საერთოდ ამოვიღებდი“, მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს.“ „იმ კადრებიდან გამომდინარე, რაც საზოგადოებამ იხილა, საქართველოს ხელისუფლებას რას ედავებით?! თმა რომ აქვს დასაფარცხნი?! თხუთმეტოვანი პატიმრობიდან ნახევარი მოხდილი აქვს ორ ოთახიან ლუქსში და ის დღეს ყველაზე მვირადღირებული პატიმარია. რას გვედავებით, 24 საათიან სამედიცინო მეთვალყურეობას? დემენციის მქონე ადამიანი უკრაინულად კარგად უნდა ლაპარაკობდეს და ქართულად არა? თქვენი ძვირფასი ექიმები დიაგნოზს ძალავენ, თქვენი ადვოკატები მალავენ. ერთადერთი რამე წყენს სააკაშვილს: ეს არის ოთხი კედელი და ჰაერი.“

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურა აბაშიძემ, განაცხადა: „ნაციონალური მოძრაობა“ სავალალო მდგომარეობაშია. მას შემდეგ, რაც სააკაშვილი პოლიტიკაში მოვიდა, პრობლემები, რომელიც ახლავს მის პარტიას და მთელ ქვეყანას, ამ ადამიანიდან არის გამოწვეული. დღეს რომ გვეუბნებიან, რომ სააკაშვილი არის პუტინის პირადი პატიმარი, მაშინ პირდაპირ ვთქვათ: ე.ი პუტინმა ჩასვა იმ კონტეინერში რძის ნაწარმებთან ერთად და გამოგზავნა საქართველოში? გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება, კიდევ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები და დაველოდოთ. საქართველოში არ მეგულება სხვა პატიმარი, რომელიც ამგვარ პირობებში იხდის სასჯელს და ამდენი მნახველი ყავს.“

საბა ბუაძემ ისაუბრა მიუსაფარი ცხოველების პრობლემაზე, რომელიც უშუალოდ მუნიციპალურ რეგულირებას და მუნიციპალიტეტის საქმიანობას ეხება. მან გააკრიტიკა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ყოფილი უფროსი და იმედი გამოთქვა, რომ სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი მეტი ძალისხმევით მოეკიდება ამ საკითხს და ამ სფეროში იქნება სიახლეები. მიუსაფარი ცხოველების პოპულაცია უკიდურესად გაზრდილია, რაც უამრავი თბილისელის აღშფოთებას იწვევს. მისი თქმით 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები, ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. კიდევ ერთხელ გამოთქვა იმედი სააგენტოს ახალ ხელმძღვანელთან დაკავშირებით, რომელიც დამატებით გამოყოფილ 5 მილიონ ლარს უშუალოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოახმარს.

ცოტნე კობერიძემ უკრაინაში დაღუპული მეომრის მამის სიტყვებით - „კაცს მარტო სიტყვა არ კლავს, კაცს ნამუსი კლავს“ - გააკრიტიკა ხელისუფლება, კერძოდ, გამოეხმაურა პრემიერის გამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ „უკრაინის ომში საბრძოლველად მიდიან ნაცობის გამო და არა ღირებულებების გამო.“ „ჩემი აზრით, ქართველი კაცის ოცნება იყო, მტერზე ყოველთვის მკაფიოდ ეთქვა, რომ მტერი მტერია, მეგობრისთვის ეთქვა, რომ მეგობარია და მხარში ამოდგომოდა, როგორც ამას „ვეფხისტყაოსანი“ გვასწავლის, მაგრამ ამ იდეას კლავთ, თქვენ სულ სხვა ქართულ ოცნებას ასწავლით. ჩემი მიკროფონი გამოირთვება, მაგრამ თქვენი ხმა შეგახსენებთ, რომ თქვენი პრემიერი არის მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი და შინ ძლიერი.“ „რუსეთი ჩაიძირება და ტყუილად დებთ ფსონს მასზე. დღეს შეიძლება ძალაუფლება შეინარჩუნოთ, მაგრამ ეს არის ბილეთი ტიტანიკზე-ჩაიძირებით“- განაცხადა მან.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩაკვეტაძემ ოპოზიციას, მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, გამამართლებელი განაჩენების პროცენტულობა შეახსენა და აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობისა“ და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ფასეულებები ძალიან განსხვავდება.“ეს ადამიანები, როდესაც საუბრობენ ვინმეს უფლებების დაცვაზე, რა პოლიტიკური რანგისაც არ უნდა იყოს, თუნდაც პრეზიდენტი, ცოტა უხერხულია. თავად არიან იმ ძალადობრივი სისტემის შემქმნელები, რომელიც ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ წარსულს ჩაბარდა. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიცოცხლის უფლებას, სწორედ 2012 წლის შემდეგ პენიტენციურ სისტემაში ის რეფორმები გატარდა, რომელიც არაერთი საერთაშორისო პლატფორმის მიერ შეფასდა, როგორც დემოკრატიული ნაბიჯები“-აღნიშნა გიორგი ჩაკვეტაძემ. მისი თქმით, ქართველი ხალხი არ დაუშვებს, რომ სახელმწიფო ომში ჩაერთოს და დესტაბილიზაცია მოხდეს. „ზვიად კუპრავა ვინმეზე ცუდს რომ იტყვის, ეს, პირიქით, შექებად უნდა გავიგოთ. ამ ადამიანის და ზოგადად, ამ პოლიტიკური ჯგუფის ფასეულობებიდან გამომდინარე. გირჩის წარმომადგენლებს კი მიიწოდებოდა შეგახსენო, რომ ყველამ კარგად ვნახეთ საოკუპაციო ხაზთან მტერს როგორც ხვდებოდნენ. ქართული საზოგადოება და ქართული სახელმწიფო ვერ დაუშვებს იმას, რომ რომელიმე ჯგუფის მიერ ამ ქვეყნის ომში ჩართვა და დესტაბილიზაცია მოხდეს. ეს საქართველოს ჩიხში შეიყვანს.“ აღნიშნა, რომ სააკაშვილი სიმულაციით და თვითდაზიანებით ცდილობს დესტაბილიზაციის მოხდენას. ადამიანის უფლებები ამ ქვეყანაში არის დაცული და ეს ხელისუფლების მონაპოვარია.

გიორგი შარაშიძემ ჯანმრთელობა უსურვა მიხეილ სააკაშვილს, ხელისუფლებას კი - სათანადო ავტორიტეტი. საკრებულოს წინაშე დააყენა ინიციატივა სახალხო ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით, მადლობა გადაუხადა ოპოზიციონერ კოლეგებს ამ საკითხში მხარდაჭერისთვის და საკრებულოს თავმჯდომარეს სთხოვა, რომ უახლოეს

სხდომაზე დღის წესრიგში აისახოს ეს საკითხი. დაინტერესდა, ექნება თუ არა ამ ინიციატივას მმართველი პარტიის მხარდაჭერა.

გიორგი ტყემალაძე დაპირდა გიორგი შარაშიძეს, რომ უახლოეს სხდომაზე ამ საკითხზე იმსჯელებენ.

ლევან ჟორჟოლიანი შესთავაზა გიორგი შარაშიძეს, რომ ვინაიდან მერიის საფინანსო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის პროექტს, წინადადებები გადაიგზავნოს აღნიშნულ სამსახურში, რომელიც შემდგომ წარმოადგენს საკუთარ ხედვებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ  
მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ  
მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ  
მომხსენებელი: ირაკლი გვილაგა
4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე  
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
5. განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე  
მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი
6. ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებული 56 695 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.005) და ქალაქ თბილისში,

გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N23-ში არსებული 4324 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.168) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

7. ქალაქ თბილისში, სამგორი რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

8. ქალაქ თბილისში, ვიქტორ დოლიძის ქუჩა №45-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.17.019.001.02.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

9. ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი №12ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

10. ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა №31-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.124) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

11. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

12. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში 3-ში, მე-6 კვარტლის კორპუსი №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.002.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

13. ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.06.012.017.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

14. ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №62-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.003.01.537) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

15. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის

ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლე, შპს „აზგრიდ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405542024), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ. 404619711) შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო - სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ. 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „არქ არეას“ (ს/ნ. 404619711) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

17. ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 38 კვ.მ. ფართობისა (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.027) და 58 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.028) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის“ (ს/ნ. 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ჯაბა ნოზამეს (პ/ნ. 57001016740) (უფლებამონაცვლე: შპს „ლ.დ. დეველოპმენტი“, ს/ნ. 405003099) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-35-467 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - დემურ დიასამიძეს (პ/ნ. 61001029125) შორის 2017 წლის 30 იანვარს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-338-25-20532 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი



20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

21. ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №12; ქალაქი თბილისი, ჭიჭინაძის ქუჩა, თარგი №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.19.33.012.052; №01.19.33.012.014; №01.19.33.012.011) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

22. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, სიმონ ავალიანის ქუჩა, №19ა, №19ბ, №23, №23ა, №25, №25ა, №25ბ, №25გ, №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.32.008; №72.16.32.037; №72.16.32.036; №72.16.15.883; №72.16.32.035; №72.16.23.097; №72.16.32.047; №72.16.32.048; №72.16.32.009; №72.16.23.155; №72.16.23.776; №72.16.23.775; №72.16.23.109; №72.16.15.884; №72.16.15.885; №72.16.23.754; №72.16.23.110; №72.16.23.753; №72.16.23.156) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

23. ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.28.252; № 72.16.09.288; №72.16.09.522; №72.16.09.608; №72.16.28.040; №72.16.28.039; №72.16.28.353; №72.16.09.582; №72.16.09.583; №72.16.09.282; №72.16.28.156; №72.16.28.154; №72.16.28.012; №72.16.13.453-ის ნაწილი; №72.16.28.256-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

24. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.594; №72.16.15.678; №72.16.23.429; №72.16.23.465; №72.16.23.466; №72.16.15.680; №72.16.15.683; №72.16.15.679; №72.16.23.032; №72.16.23.593; №72.16.15.814; №72.16.23.063; №72.16.23.596; №72.16.23.595; №72.16.23.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

25. ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ამაღლების I შესახვევი №7ა, №3, №9ა, №9, №9ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.02.743, №81.02.02.513, №81.02.02.471, №81.02.02.377, №81.02.02.949) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი

სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.326; №81.02.21.067; №81.02.21.983; №81.02.21.319) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.28.207, №72.16.28.208, №72.16.28.201, №72.16.28.214, №72.16.28.210, №72.16.28.209, №72.16.28.211, №72.16.28.200, №72.16.28.212, №72.16.28.203, №72.16.28.213, №72.16.28.216, №72.16.28.215, №72.16.28.293, №72.16.28.153, №72.16.28.278, №72.16.28.251; №72.16.28.228- ნაწილი; №72.16.13.453-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, ვაკის რიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ - საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის №59 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 3 სექტემბრის №318960 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №83, №89, №93, №95, №81, აგარანის ქუჩა №60, №62, №64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.05.652; №81.02.99.096; №81.02.39.162; №81.02.93.302; №81.02.96.713; №81.02.05.394; №81.02.99.368; №81.02.05.434; №81.02.95.268; №81.02.94.701; №81.02.05.500; №81.02.94.707; №81.02.05.475; №81.02.05.558; №81.02.98.194; №81.02.98.195; №81.02.05.336; №81.02.05.435; №81.02.94.709; №81.02.05.569) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქალაქ თბილისში, სოფელი აგარაკში, აგარაკის ქუჩა №61/63/65/67/69/71/73/75; ქალაქი თბილისში, სოფელი აგარაკში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №72.16.15.599, №72.16.22.028, №72.16.22.027, №72.16.15.623, №72.16.15.708, №72.16.15.707, №72.16.15.621, №72.16.22.047, №72.16.22.487, №72.16.15.690) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.13.669; №81.02.13.671; №81.02.13.670; №81.02.13.672) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №72.13.38.501) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.39.101; №81.02.96.844; №81.02.96.845; №81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „კარკასის“ (ს/ნ. 430029015) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

36. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „კერა“-ს (ს/ნ. 205031455) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

37. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის

მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის“ (ს/ნ. 400170907) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

38. შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „ფალიაშვილის 100“-ის (ს/ნ. 402185620) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

39. ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. №2 (ს/კ. №01.14.03.039.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს „საბურთალოს“ (ს/ნ. 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა, გაიოზ თალაკვაძემ და აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტში შედის ცვლილება, ბიუჯეტის ოდენობა იზრდება 8 მილიონ 116 ათასი ლარით და 1 მილიარდ 567 მილიონ 982 ათასი ლარით განისაზღვრა. ამ ზრდის გარდა არის შიდაგადანაწილებები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩნდება ახალი პროგრამა, რომელიც 2023 წლის ბიუჯეტში გონიერი სატრანსპორტო სისტემისთვის მიღებული სესხის გადახდას ითვალისწინებს.

ნინო წულაძე გამოეხმაურა ბიუჯეტის ცვლილებებს და აღნიშნა, რომ ბიუჯეტით დაფინანსებულ დაწესებულებებში, კერძოდ თეატრებში არის მინიმალური ხელფასები. მოხდა ერთჯერადად, ჯილდოს სახით ანაზღაურება, რაც მინიმალურია და თხოვნით მიმართა საკრებულოს, რომ 2023 წლის ბიუჯეტში მოხდეს თანხის დამატება, ხელფასების ზრდისთვის.

კოტე ზარნაძემ, აღნიშნა, რომ საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანები რა თქმა უნდა იმსახურებენ უფრო მეტ ანაზღაურებას, განსაკუთრებით მინიმალურია ბაღის პედაგოგების ანაზღაურება, რაც არ არის იმის საპირწონე, რა სამუშაოსაც ეს ადამიანები ასრულებენ. იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ მოხდება ბაღის პედაგოგებისთვის ხელფასების ზრდა.

კახა ლაბუჭიძემ ისაუბრა მუნიციპალურ თეატრებზე და განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი აკეთებს ყველაფერს შესაძლებლობის ფარგლებში. ინახავს შენობა-ნაგებობებს, იხდის კომუნალურებს. რაც შეეხება მსახიობების ხელფასს, ეს თეატრის მენეჯმენტის პრობლემაა. თეატრი არა მარტო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, არამედ კომერციულიც. იმ თეატრებში, სადაც არის სახელფასო პრობლემა, მენეჯმენტი გადასახედა. თეატრი უნდა დგამდეს ისეთ სპექტაკლებს, რომ შეინახოს დასი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე 28

თავი შეიკავა -3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა და აღნიშნა, რომ დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის წესში შედის ცვლილება: ყველა მესაკუთრეს, გარდა ინდემწარმისა, აქვს ვალდებულება, რომ დაარეგისტრიროს მასთან მცხოვრები პირი, რათა გამოთვლადი იყოს დასუფთავების მოსაკრებელი. ამაზე იყო განუსაზღვრელი ვადა, ამ ცვლილებით დადგინდა ვადა 36 თვის ოდენობით. არსებობს სერიოზული პრობლემა ნარჩენების გადაყრასთან დაკავშირებით. სუპერმარკეტები გაშლილ მდგომარეობაში ათავსებენ ნარჩენებს, ხდება ნაგვის ურნების ამოვსება და მოსახლეობას უჭირს ურნებით სარგებლობა. ცვლილებიდან გამომდინარე, ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებული იქნება დიდი ზომის ნარჩენები განათავსოს დაკეცილ მდგომარეობაში. შესაბამისად, სანქცია იგივე იქნება, რაც გათვალისწინებულია სამართალდარღვევათა კოდექსით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა, ირაკლი გვილაგამ და აღნიშნა, რომ მცირე ცვლილება და დაზუსტება შედის სპორტსმენების დაჯილდოების წესში, კერძოდ, ჭადრაკის ოლიმპიადა არ იყო წარმოდგენილი დაჯილდოების ნაწილში.

გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ 2021 წლიდან დაიწყო სამსახურმა ამ პროგრამის გახორციელება და ჭადრაკის ოლიმპიადის პრიზიორები ამით ვერ სარგებლობდნენ . ამ ცვლილებით უკვე ისარგებლებენ როგორც ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები, ასევე ქალთა და პარასპორტსმენთა კლუბის წევრები.

ცოტნე კობერიძემ გამოთქვა მოსაზრება, იგი წინააღმდეგია, რომ მერიიდან, ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ არა მარტო მსახიობები, არამედ სპორტსმენებიც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა, სერგო ბირკაძემ. მან წარმოადგინა ცვლილებები ავარიული სახლების მარეგულირებელ ნორმებში. ავარიული სახლების ჩანაცვლება მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და მიღებული იქნა რეგულაციები, რომლის მიხედვითაც ავარიული სახლების ჩანაცვლება ხდება მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, მესაკუთრეთა ყოველგვარი დანახარჯების გარეშე და ასევე, არის დადგენილი წესი, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლება ხორციელდება ინვესტორების ჩართულობით. ამ საკითხთან დაკავშირებით, გაჩნდა გარკვეული საკითხების დაზუსტების აუცილებლობა. კერძოდ, იმისთვის, რომ პროცესი იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, განსაზღვრულია ყველანაირი ხარჯი. სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება საექსპერტო დასკვნით, დემონტაჟის ხარჯი ეკონომიკურ გაანგარიშებაში არ იქნება შეყვანილი, იქედან გამომდინარე, რომ დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალები დაფარავს ხარჯს, მაკომპენსირებელ ღონისძიებებთან დაკავშირებულ რეგულაციებს, კერძოდ, როდესაც საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში ხდება ფუნქციის შეცვლა საცხოვრებელ ზონად, ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ახდენს

მუნიციპალიტეტისათვის თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ბინების ან შესაბამისი თანხის გადმოცემას. როდესაც საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში ხდება კოეფიციენტის მატება, ავტომატურად ხდება კომერციული ფართის მატებაც, რაც ავარიული სახლების ჩანაცვლების დროს ინვესტორისთვის რელევანტული არ არის და შესაბამისად, თუ მას გარდაქმნის საცხოვრებელ ფართად და მუნიციპალიტეტი ამაში შეღავათს არ გაუკეთებს, მოითხოვს დამატებითი კვ კოეფიციენტის მიცემას, ამ ხარჯს გაატარებს დამატებით ხარჯად და ამიტომ იმ მისაცემ ფართზე წინასწარვე მუნიციპალიტეტი ამზობს უარს.

წინა სხდომაზე N14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომელიც ეხებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპების ცვლილებებს, როცა დადგინდა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური სახლების განაშენიანების შემუშავებისთვის წარმოსადგენი გახდა საპროექტო ტერიტორიაზე ბიოლოგიური გამწმენდი სადგურების განთავსებაზე გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დადებული უნდა ყოფილიყო OECD (ოესიდი) წევრ ქვეყნებთან სერთიფიცირებული ორგანოების მიერ. ტერმინი იყო გამორჩენილი - „ოესიდის წევრი სახელმწიფოები“- და ამიტომ ხდება დაზუსტება.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ავარიული სახლები, მათ შორის ისტორიული ძეგლები კრიტიკულ მდგომარეობაშია, დაასახელა რამდენიმე მისამართი, კერძოდ ზუბალაშვილების N16 და ჭონჭაძის N15-12, რომლებსაც აქვთ მინიჭებული მე-4 ხარისხის ავარიულობა და საკრებულოს და მერიას, როგორც მედიატორებს ამ საკითხში, სთხოვა, მოახდინოს ავარიული სახლების დიფერენცირება ხარისხებით და რეალური სარისკო მდგომარეობის მიხედვით.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ამ ორ მისამართზე არსებული პრობლემა მისთვის ნაცნობია, ინვესტორსა და მაცხოვრებლებს შორის ვერ მოხდა შეთანხმება, რადგან ადამიანები ითხოვენ იმაზე მეტ ფართს, ვიდრე გააჩნიათ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კერძო მესაკუთრეების დამოკიდებულება. ინვესტორთან უნდა მოხდეს სწორი კომუნიკაცია. ვერ ხერხდება ინტერესთა შეჯერება, დამნაშავეა არა მუნიციპალიტეტი, არამედ მოზინადრე, რომელიც ითხოვს იმაზე მეტს, ვიდრე ინვესტორი სთავაზობს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

